

შინაგანი რწმენა და მისი ფორმირების ძირითადი ფაქტორები

ირაკლი ნადარეიშვილი

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსი, „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი, სასწავლო უნივერსიტეტის „მილენიუმის“ აფელირებული ასისტენტი

ჭემალ ლომსაძე

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორი, სამართლის მაგისტრი

საკვანძო სიტყვები: შინაგანი რწმენა, გონივრული ეჭვი, განაჩენი

*„ხოლო რწმენა არის უეჭველობა იმისა, რასაც მოველით, და ნედობა უხილავისა“
ბიბლია*

განაჩენის დადგენისას მოსამართლეთა/ნაფიც მსაჯულთა შინაგანი რწმენისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის განმარტება/ფორმირების საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალურობას. მეცნიერთა შორის, ამ საკითხის ირგვლივ არ არსებობს კონსენსუსი და ერთიანი შეხედულება. ვინაიდან შინაგანი რწმენის რაიმე ჩარჩოში მოქცევა, მისი აწონვა/გაზომვა და წინასწარ პროგნოზირება ფაქტობრივად შეუძლებელია,

დღემდე არ წყდება პოლემიკა შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების პროცესში, სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენისა და მნიშვნელობის შესახებ. სტატიაში გაანალიზებულია, როგორც კონტინენტური სამართლის ისე ანგლოამერიკული სამართლის დარგში მოღვაწე მეცნიერთა მოსაზრებები და შეხედულებები, ასევე სასამართლოების მიერ ამ საკითხის ირგვლივ მოცემული განმარტებები. დასკვნის სახით, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით შემუშავებული და წარმოდგენილია შინაგანი რწმენის ახლებური განმარტება, კერძოდ: შინაგანი რწმენა არის გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე, ინდივიდის ცნობიერებაზე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ობიექტური ქვემარტების ინდივიდუალური აღქმა. აღნიშნული განმარტება ვფიქრობთ სიახლე და ერთგვარი შეჯამებაა სხვადასხვა მოსაზრებებისა და ვიმედოვნებთ, რომ საინტერესო გამოცხილს პოვებს თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა შორის.

* * *

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მე-3 მუხლი სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის აუცილებელ პირობად ასახელებს პირის მიმართ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობას, კერძოდ: „ გონივრულ ეჭვს მიღმა – სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.“¹ ამავე კოდექსის 234-ე მუხლში ასახულ ნაფიც მსაჯულთა ფიცის ტექსტში პირდაპირაა მითითებული, რომ მსაჯულის სამართლიანი გადაწყვეტილება მისი შინაგანი რწმენიდან უნდა

გამომდინარეობდეს. ორივე შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ ობიექტურ პირს უნდა გაუჩნდეს რწმენა და არა თუნდაც ლოგიკური და დასაბუთებული ვარაუდი.

სასამართლოს შინაგანი რწმენით განაჩენის დადგენის სტანდარტის დამკვიდრება უკავშირდება 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციას და ფეოდალური სასამართლო წარმოების სტერეოტიპების მსხვრევას, რომელიც თავის მხრივ ფორმალურ მტკიცებულებათა თეორიას ეყრდნობოდა. საფრანგეთის კონსტიტუციაში 1791 წელს შეტანილი ცვლილებების შემდეგ, (რომელიც კონსტუანტე დიუპორის რეფორმის სახელითაა ცნობილი) აღნიშნული სტანდარტი ეტაპობრივად გავრცელდა ევროპაში. ამით დაიმსხვრა ბრალდებულის აღიარების უპირობოდ გაზიარების მაგნე პრაქტიკა და საქმის ყოველმხრივ გამოძიებას ჩაეყარა საფუძველი. დამკვიდრდა ე.წ. შერეული სტილი, რომელიც ეფუძნებოდა შეჯიბრობითობისა და ძიების პროცესს, რომელიც მეტნაკლებად განწმენდილი იქნა ე.წ. ინკვიზიციური ელემენტებისაგან. ფორმალურ მტკიცებულებათა სისტემა ჩანაცვლა ე.წ. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების სისტემამ, რომელიც თავის მხრივ ეფუძნებოდა მოსამართლეთა შინაგან რწმენას.

აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 353-ე მუხლის მიხედვით სანამ ნაფიცი მსაჯულები გავლენ სათათბიროდ, სხდომის თავმჯდომარე მათ უკითხავს ინსტრუქციას, რომელიც ასევე მსხვილი შრიფტით არის დაბეჭდილი და გამოკრული სათათბირო ოთახში თვალსაჩინო ადგილას, კერძოდ: კანონი არ სთხოვს მათ იმ მეთოდებისა და არგუმენტების განმარტებას, რომლითაც მათ დაარწმუნეს საკუთარი თავი, კანონი არ ზღუდავს მათ რაიმე წესებით, რომლებითაც მათ სრულყოფილად, ამომწურავად და ადეკვატურად უნდა შეიცნონ და შეაფასონ მტკიცებულებები. კანონი მათგან მოითხოვს, რომ მათ საკუთარ სინდისთან განმარტებულებმა გაანალიზონ და შეიცნონ, თუ რა გავლენა

1 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=110>

მოახდინა მათ რწმენაზე ბრალდებისა და დაცვის მხარის არგუმენტებმა და მტკიცებულებებმა. კანონი მათ წინაშე გადასაწყვეტად სვამს ერთადერთ კითხვას – არიან თუ არა ისინი შინაგანად დარწმუნებულნი.²

ა. ვიშინსკი აღნიშნავდა, რომ: „შინაგანი რწმენით გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მოსამართლის გონებისა და სინდისის გამოძახილსა და აღქმას და რომელიც მიმართული უნდა იყოს საქმეზე ობიექტური მატერიალური ქვეშაღებების დადგენისკენ. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ობიექტური ქვეშაღებების დადგენა შინაგანი რწმენით, როგორც სასამართლო პროცესის მიზანი მეტად პირობითი, შედარებითი და შერჩევითია.“³ ვიშინსკი შინაგან რწმენას უკავშირებს ინდივიდის სამართლებრივ ცნობიერებას და განმარტავს, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენებში აღნიშნული ორი საკითხი სხვადასხვაგვარად აღიქმება. მისი განმარტებით სამართლებრივი ცნობიერება ისტორიულად ჩამოყალიბებული ცნობიერებაა და არა აბსტრაქტული თეორია. ამიტომ სხვადასხვა ფენებში სხვადასხვა წარმოდგენებია სამართლიანობაზე, თუ როგორი უნდა იყოს იგი, როგორია საჭირო და როგორი აუცილებელი. მისი განმარტებით საზოგადოების ფენების სამართლებრივ ცნობიერებათა შორის უფსკრულია და რაც ერთისთვის სამართლიანია უსამართლოა სხვისთვის. „მოსამართლეები უნებლიედ შებოჭილნი არიან საზოგადოებაში გაბატონებული ცნობიერებით და მათი შინაგანი რწმენა ისეთია თუ რომელ ფენას განეკუთვნებიან, როგორია მათი პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგია.“⁴

ვიშინსკი თვლიდა, რომ: „სამართალწარმოების პროცესში აბსოლუტური ქვეშაღებების დადგენა უმრავლეს შემთხვევებში ფაქტიურად შეუძლებელია, ამდენად მოსა-

მართლეთა წინაშე უნდა დაისვას საკითხი რათა მათ დაადგინონ თითოეულ საქმეზე არა აბსოლუტური ქვეშაღებება, არამედ მათ უნდა განესაზღვროთ ამოცანა, რომ საქმეზე დაადგინონ მაქსიმალური ალბათობისა და გონივრულად სარწმუნო სტანდარტი.“⁵

სტროგოვიჩი მატერიალურ ქვეშაღებებს ობიექტურ ქვეშაღებებად მიიჩნევდა და ყურადღებას ამახვილებდა დამნაშავეისათვის სწორი კვალიფიკაციით განაჩენის დადგენის მნიშვნელობაზე: „Истина, устанавливаемая в уголовном процессе по расследуемому и разрешаемому судом делу, есть объективная истина, называемая материальной истиной. Материальная истина в уголовном процессе — это полное и точное соответствие объективной действительности выводов следствия и суда об обстоятельствах расследуемого и разрешаемого судом дела, о виновности или невиновности привлеченных к уголовной ответственности лиц.“ „Материальная истина в уголовном процессе достигается тогда, когда суд своим приговором признает виновным того, кто в действительности совершил преступление, и вменяет ему в вину именно то преступление, которое этим лицом совершено.“⁶

გორსკი და კოკორევი მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებლობა, კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ პროცესის მწარმოებელ პირებს მტკიცებულებათა განხილვისას და განაჩენის დადგენისას, ჩაანაცვლა შინაგანი რწმენით განაჩენის დადგენის წესმა, კერძოდ: „Сущность этого правила доказывания рассмотрена раньше, сейчас следует отметить его нравственный аспект. Внутреннее убеждение является нравственно-психологической гарантией правильной оценки доказательств и обоснованности результатов доказывания. Его необходимо рассматривать как одно из проявлений всех качеств лиц, осуществляющих доказывание: их мировоз-

2 საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი https://www.legislationline.org/download/id/8361/file/France_CPC_am092019_fr.pdf

3 Вышинский А.Я. Москва 1950 г., „Теория судебных доказательств в советском праве.“ Государственное издательство юридической литературы. Ст 130 -137.

4 იქვე გვ. 159.

5 იქვე გვ. 201.

6 Строгович М. С. Москва 1968 г., „Курс советского уголовного процесса“ Издательство „Наука“. Ст -132.

зрения, политических и правовых взглядов, а также их нравственного сознания. Процесс оценки доказательств по внутреннему убеждению характеризуется такими безусловными нравственными признаками, как свобода, самостоятельность и независимость в оценке доказательств. Их следует, разумеется, понимать как уверенность в правильности выводов, опирающихся на всесторонне, полно и объективно рассмотренные доказательства в их совокупности, а не как произвол в оценке доказательств. Способность к всестороннему, полному и объективному исследованию доказательств, а также способность к самостоятельной и независимой их оценке по своему внутреннему убеждению следует отнести к таким личным качествам должностных лиц, занимающихся уголовно-процессуальным доказыванием, которые имеют первостепенное значение в их работе.⁷ როგორც ვხედავთ მეცნიერთა ეს ნაწილი შინაგან რწმენით განაჩენის დადგენისას პროცესის მონაწილის მორალურ-ფსიქოლოგიურ გარანტიებს უკავშირებს მტკიცებულებათა სწორ და ობიექტურ შეფასებასთან მიმართებაში. ის ხასკასმით აღნიშნავს თვითრწმენის შექმნის პროცესში ინდივიდის მსოფლმხედველობის, პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური შეხედულებებისა და ღირებულებების მნიშვნელობას.

ევგენი სნიგირევი თავის ნაშრომში „მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენის საფუძველზე“ აღნიშნავს, რომ: „შინაგანი რწმენა ეს არის სუბიექტის, სხვა პირების შეხედულებებისგან თავისუფალი, მყარი, მორალურად დასაბუთებული, ფსიქიკური დამოკიდებულება მტკიცებულებათა შეფასებისას მათ რაოდენობასა და ხარისხთან მიმართებაში. იგი არის პირის სუბიექტური გამოხატულება ობიექტური ქვეშეპირობების მიმართ. თუმცა ერთი პირის შინაგანი რწმენა მტკიცებულებათა სანდოობისა და მათი საკმარის-

სობის კუთხით, რომლებიც ადასტურებენ ან/და უარყოფენ პირის ბრალეულობას არ შეიძლება განისაზღვროს ობიექტურობის საზომად. მტკიცებულებათა შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების პრინციპი არ ნიშნავს ინდულგენციას თანამდებობის პირთა მიერ სამართალწარმოების პროცესში დაშვებული შეცდომების ან/და გადაცდომების მიმართ.“⁸ სნიგირევი ასევე აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას პირის სამართალგებრივი მართლშეგნების, კეთილსინდისიერებისა და მორალური ღირებულებების კრიტერიუმები უფრო მეტად ფილოსოფიურ კრიტერიუმებს განეკუთვნება. მათზე ძალზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს და ისინი ცხოვრებისეულ თითქმის ყველა სფეროს მიმართ გამოიყენება. გარდა ამისა მოსამართლის შინაგანი რწმენა არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიის კრიტერიუმი. სნიგირევი სუბიექტის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისას გამოყოფს ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლებელია გავლენა იქონიონ აზრის ფორმირებაზე: „К внешним факторам формирования внутреннего убеждения субъектов доказывания относятся: уголовно-правовая и уголовно-процессуальная политика, реализуемая на определенном этапе общественного развития; влияние средств массовой информации; общественное мнение; следственная и судебная практика по конкретным уголовным делам, в которой первостепенное значение принадлежит практике Верховного Суда.“⁹ სნიგირევი ამასთან აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არ უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტს მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასებისას პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთათვის, ვინაიდან თითოეული მათგანი მტკიცებულებათა შეფასებისას უნდა ეყრდნობოდეს ყოველ განხილულ საქმეში არ-

7 Горский Г. Ф., Кокорев Л.Д, Элькинд П.С. Воронеж 1978 г. „Проблемы доказательств в советском уголовном процессе“. Издательство Воронежского университета. Ст-278.

8 Снегирев Е. А. Воронеж 2002 г. диссертация „Оценка доказательств по внутреннему убеждению.“ Ст-164-169 <http://www.dslib.net/kriminal-process/ocenka-dokazatelstv-po-vnutrennemu-ubezhdeniju.html>

9 იქვე გვ 168.

სებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებების შედეგად, საკუთრივ მასში ფორმირებულ რწმენას და არა სხვა სუბიექტის მიერ წინასწარ შემუშავებულ შეხედულებებს. იგი განსაკუთრებით აღნიშნავდა მასმედიის როლს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისას: „Отдельным фактором, определяющим формирование внутреннего убеждения при оценке доказательств, является влияние средств массовой информации. В связи с этим представляется обоснованным закрепление в уголовно-процессуальном кодексе Российской Федерации следующих положений: до вынесения приговора по уголовному делу, либо до его прекращения в установленном законом порядке сведения, касающиеся доказательственной информации (доказательств) по уголовному делу, не могут быть разглашены в средствах массовой информации. К основным внутренним факторам, влияющим на формирование внутреннего убеждения при оценке доказательств субъектами доказывания, относятся: нравственно-этические ценностные ориентации субъекта доказывания; уровень квалификации работы по юридической специальности, связанной с оценкой доказательственной информации; психологические характеристики данного субъекта, его способность противостоять внешнему воздействию и отстаивать собственную точку зрения.“¹⁰ როგორც ვხედავთ სნეგირევი მოსამართლის შინაგან რწმენაზე მედიის ზეგავლენის როლის გამორიცხვის საბაბით, ფაქტობრივად სასამართლო სხდომათა დახურვის მომხრეა, რასაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ვინაიდან სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის საფუძვლები და კრიტერიუმები ამომწურავადაა ჩამოთვლილი ჩვენს მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში და სრულად შეესაბამება დემოკრატიის სტანდარტებს.

გიორგი თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ: „მოსამართლეს კანონი ვერ განუსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შეაფასოს ცალკეული მტკიცებულებები და რა დასკვნები უნდა გა-

მოიტანოს მათი შეფასების შედეგად, ასევე დაუშვებელია მოსამართლეს კანონმა დაუდგინოს თუ რა წინაპირობების არსებობისას უნდა დარწმუნდეს იგი ბრალდებულის ბრალეულობასა თუ არაბრალეულობაში.“¹¹ მიუხედავად ამგვარი განმარტებისა იგი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლეს შინაგანი რწმენით წყვეტს საკითს, რაც გარკვეულ სტანდარტს ექვემდებარება, თუმცა მას არანაერი ეჭვი არ უნდა დარჩეს დასკვნების უტყუარობის თაობაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველი კოლეგიის №1/1/548 გადაწყვეტილებით (საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) განმარტა, რომ: „დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. საზოგადოება, რომელიც იღვწის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად, იცის ადამიანის თავისუფლების ფასი, არ დაუშვებს ისეთი პირის მსჯავრდებას, რომლის ბრალეულობა მიუკერძოებელი და გონიერი დამკვირვებლისთვის საეჭვო რჩება.

გონივრულ ეჭვს მიღმა ტესტი წარმოადგენს სახელმძღვანელო კრიტერიუმს, რომელსაც სასამართლო იყენებს პირის დამნაშავედ ცნობისთვის, მიაწინებს სასამართლოს, თუ რამდენად მყარი უნდა იყოს რწმენა იმისა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. სასამართლო ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები მას გონივრულ ეჭვს მიღმა დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. ეს რწმენა სასამართლოს, კანონით დადგენილი წესის მიხედვით წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უყალიბდება, რომელსაც კანონით სანდო და დასაშვებად მიიჩნევს.“¹²

11 თუმანიშვილი გ. თბილისი 2014 წ. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა) გამომცემლობა იურისტების სამყარო. გვ 238
 12 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პირველი კოლეგიის №1/1/548 გადაწყვეტილება.

ირაკლი ნადარეიშვილი, ჰუმანლ ლოშსაძე

10 იქვე გვ 169.

საინტერესოა ამ მხრივ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 26 ივლისის N83აპ-18 (განზრახ მკვლელობის საქმე) განაჩენში განვითარებული მსჯელობა, შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისა და მტკიცებულებათა შეფასების პროცესის შესახებ. სასამართლო აღნიშნავს ოთხ აუცილებელ კრიტერიუმს: „1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებათა ფორმირება.“¹³ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ირიბ და პირდაპირ მტკიცებულებათა ურთიერთავსებადობა და მათი ამგვარი კრიტერიუმებით შემოწმება განაპირობებს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებასა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით განაჩენის დადგენის შესაძლებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიამ (ფუნქციონირებდა 1954-1998 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციების გაფართოვებამდე) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტთან მიმართებაში გააკეთა განმარტება საქმეზე დანია, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდების სამეფო – საბერძნეთის წინააღმდეგ. საქმეზე მსჯელობისას ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას უნდა განესაზღვრა, თუ რა სტანდარტი გამოეყენებინა წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისას, როდესაც საჩივარი ეხებოდა კონვენციის მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევას.

კომისიამ დაადგინა, რომ უფლების შესაძლო დარღვევა უნდა დასტურდებოდეს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. ამ საკითხზე მსჯელობისას კომისიამ ტერმინი „გონივრული ეჭვი“ შემდეგნაირად განმარტა: „გონივრული ეჭვი გულისხმობს არა ეჭვს, რომელიც ეფუძნება სუფთა თეორიულ შესაძლებლობას, ან ეჭვს რომელიც აღიძრა არასასურველი დასკვნების თავიდან ასარიდებლად, არამედ ეჭვს, რომლის მიზნებიც შეიძლება დადგინდეს საქმეზე წარმოდგენილი ფაქტებიდან.“¹⁴ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ საქმეზე მსჯელობისას კომისიამ დამატებით განმარტა, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცება უნდა ეფუძნებოდეს საკმარისად ძლიერი, გასაგები და თანმიმდევრული დასკვნების ერთობლიობას, ან მსგავსად უტყუარ ფაქტებს. კომისიას არ წარმოუდგენია მის მიერ გაკეთებული განმარტების დასაბუთება, თუმცა აღნიშნული მიდგომა შემდგომში დამკვიდრებული იქნა პრაქტიკაში.

კრისტოფ ენგელსი თავის ნაშრომში „მტკიცებულებათა ძალა შინაგანი რწმენის წინააღმდეგ“, განიხილავს გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტებას შინაგანი რწმენის შესახებ: „გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტებით მოსამართლე არ შეიძლება დაკმაყოფილდეს ალბათობის უბრალო შეფასებით. საკმოდ მაღალი ალბათობაც კი ვერ იქნება მისაღები. თავდაპირველად წარმოშობილი ვარაუდი და ეჭვი მოსამართლისთვის დასაშვები და მისაღებია, მაგრამ მოსამართლემ უნდა გადალახოს იგი არა მხოლოდ სამართლებრივი შეხედულებებით, არამედ სამართლებრივი ინტუიციითაც. ეს არის მოსამართლისადმი ემპირიული მოთხოვნა. მისივე განმარტებით უმთავრესი ფაქტორია: „The crucial feature is the psychological state of taking a fact for true.“ ანუ მოსამართლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მიიღოს და აღიქვას ფაქტები ჭეშ-

13 ქ.ბათუმი 22.01.2015 წ. გვ 17-18. ჭანტურიძე.რ თბილისი 2019 წ. ჟურნალი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე.“ N1-3. გვ 56.

14 Dimitrievski Z. Dragicevic-Dicic R. Gallo G. Skopje 2016. DOUBT IN FAVOUR OF THE DEFENDANT, GUILTY BEYOND REASONABLE DOUBT (Comparative study) st-124-125. <https://www.osce.org/mission-to-skopje/345461?download=true>

მარიტებად. ეს ტესტი ემყარება რწმენას, გამოცდილებას და ინტუიციას.¹⁵

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახეზეა უთანხმოება სხვადასხვა რგოლის სასამართლოებს შორის იმასთან დაკავშირებით თუ რას გულისხმობს ტერმინი „გონივრული ეჭვი“ და უნდა თუ არა განმარტოს ნაფიც მსაჯულს მისი მნიშვნელობა.

ფედერალური და ცალკეული შტატების სასამართლოები ვერ შეთანხმდნენ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების არსი მოიცავს თუ არა ტერმინ „გონივრული ეჭვის“ ჟიურისთვის განმარტების აუცილებლობას. სასამართლო სისტემაში განვითარდა განსხვავებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს მიერ გაკეთებული ტერმინის განმარტება განმანათლებლური თუ პირიქით, დამაბნეველი შეიძლება იყოს.

სასამართლოების ნაწილში მიიჩნევა, რომ ტერმინ „გონივრული ეჭვის“ განმარტება აუცილებელია. მესამე, მეოთხე, მეხუთე და კოლუმბიის საოლქო ფედერალური დონის სასამართლოებში მოსამართლის შეცდომად მიიჩნევა თუკი ის ნაფიც მსაჯულებს უარს ეტყვის ტერმინ „გონივრული ეჭვის“ განმარტებაზე. მეცხრე საოლქო სასამართლოში მიიჩნევა, რომ ჟიურის უნდა მიეცეს ტერმინ „გონივრული ეჭვის“ განმარტება მხოლოდ რთული საქმის შემთხვევაში. ამავე სასამართლოს მოსაზრებით თუკი საქმე „მარტივია“, საქმის განხილველ მოსამართლეს ეძლევა დისკრეცია უარი თქვას განმარტების მიცემაზე. რაც შეეხება ცალკეულ შტატებს, ფლორიდის, აიდაჰოს, ინდიანას, მერილენდის, ნიუ ჯერსის და ვაშინგტონის სასამართლოებში მიიჩნევა, რომ ჟიურის შეიძლება მიეცეს განმარტება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში. ზოგიერთ შტატში, მაგალითად კალიფორნიაში, ნევადაში და ოჰაიოში სასამართლოებს

აქვთ წესდებები, სადაც მოყვანილია ტერმინების, მათ შორის „გონივრული ეჭვის“ განმარტება ნაფიც მსაჯულებისთვის.

სასამართლოები, რომლებიც მოითხოვენ „გონივრული ეჭვის“ განმარტებას ეყრდნობიან საქმეს ვინშიპი შეერთებული შტატების წინააღმდეგ, აღნიშნულ საქმეზე აშშ-ს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცება არის ფუნდამენტური, საკონსტიტუციო მოთხოვნა და სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ქვაკუთხედი. თუმცა არსებობენ სასამართლოები, რომლებშიც ტერმინ „გონივრული ეჭვის“ განმარტება აკრძალულია. მაგალითისთვის სააპელაციო ინსტანციის მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე საოლქო სასამართლოებში მიიჩნევენ, რომ სასამართლომ შეძლებისდაგვარად თავი უნდა აარიდოს ტერმინ „გონივრული ეჭვის“ ჟიურისთვის განმარტებისგან.

ილინოისის, მისისიპის, ტეხასის და ვაიომინგის შტატის სასამართლო პრაქტიკით ნაფიც მსაჯულების ინსტრუქციაში არაა მოცემული ტერმინის განმარტება. კენტუკის სასამართლოში კი ტერმინ „გონივრული ეჭვის“ განმარტების გაკეთება საერთოდ აკრძალულია.

აღნიშნული მიდგომის ახსნისას სასამართლო ხელმძღვანელობს აზრით ტერმინი „გონივრული ეჭვი“ თვითგანმსაზღვრელია, იგი გამოიყენება ყოფით ცხოვრებაში და ნაფიც მსაჯულს მის აღსაქმელად არ ესაჭიროება განმარტებები. აღნიშნული ტერმინის არასწორმა განმარტებამ კი შეიძლება პირიქით შეცდომაში შეიყვანოს ნაფიც მსაჯული, რითაც დაზიანდება მართლმსაჯულების ინტერესები.

არსებობს სასამართლოების მესამე კატეგორიაც, რომლებშიც არც მოითხოვება და არც იკრძალება ტერმინ „გონივრული ეჭვის“ ნაფიც მსაჯულებისთვის განმარტება და აღნიშნული საკითხი ღიადაა დატოვებული. ასეთი სასამართლოები სააპელაციო ინსტანციის მეორე საოლქო სასამართლო, ალასკის, არიზონის, კონექტიკუტის და ნებრასკის შტატის სასამართლოები.

15 Engel Ch. Bonn 2008. „Preponderance of the Evidence versus Intime Conviction“ Preprints of the Max Planck Institute for Research on Collective Goods. pg. 5 http://homepage.coll.mpg.de/pdf_dat/2008_33online.pdf

ამერიკელი კონსტიტუციონალისტები თავის მხრივ მიიჩნევენ, რომ ტერმინი „გონივრული ეჭვი“ ვერ იქნება გაგებული ნაფიცის მსაჯულის მიერ ყოველგვარი განმარტების გარეშე. ტერმინის განმარტება სავსებით შესაძლებელია და მნიშვნელოვანია ჟიურის მხრიდან გონივრული ეჭვს მიღმა სტანდარტის გასააზრებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნაფიც მსაჯულს ყოველთვის უნდა მიეცეს ტერმინის სათანადო განმარტება, ხოლო ასეთი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა უნდა ჩაითვალოს უხეშ შეცდომად.¹⁶

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტის შტატის უმაღლესმა სასამართლომ, ჯორჯ პარკმანის მკვლელობის საქმის განხილვისას გააკეთა შემდეგი განმარტება: „რაში მდგომარეობს გონივრული ეჭვი? მტკიცებულებათა სრული გამოკვლევისა და შედარების შემდეგ მსაჯულთა გონება უნდა მივიდეს იმ მდგომარეობამდე, რომ მათ ვერ თქვან, რომ ისინი გრძობენ მუდმივ თვითრწმენას მორალური თვალსაზრისით ბრალეულობის ქვეშატიტებაში. რადგან არსაკმარისია დადგინდეს თუნდაც მაღალი ალბათობით გამომდინარეობდეს შანსების დოქტრინიდან, რომ ბრალდება უფრო მეტად იქნება სიმართლე ვიდრე პირიქით, მტკიცებულებებმა უნდა დაადგინონ ფაქტების ქვეშატიტება გონივრული და მორალური რწმენის შესაბამისად.“¹⁷

ნაფიცის მსაჯულებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ ინსტრუქციაში ვკითხულობთ: „გონივრული ეჭვი არის ეჭვი, რომელიც ეფუძნება მიზეზს და საღ აზრს. ეს არის ეჭვი, რომელიც უჩნდება გონიერ ადამიანს ყველა მტკიცებულების საგულდაგულოდ შეფასების შემდეგ. ეს არის ეჭვი რომელიც გონიერ ადამიანს დააბრკოლებს მისი პირადი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების

გადაწყვეტისას... გონივრული ეჭვი არ არის კაპრიზი ან ახირება, არ არის სპეკულაცია ან ეჭვი. ის არ არის საპატიო მიზეზი არასასიამოვნო მოვალეობისგან თავის ასარიდებლად და ის არ არის სიმპათია.¹⁸

საინტერესოა რწმენის განმარტება ბიბლიის მიხედვით, კერძოდ: „ხოლო რწმენა არის უეჭველობა იმისა, რასაც მოველით, და წვდომა უხილავისა.“¹⁹ ბიბლიის მიხედვით „რწმენა-სმენისგან“ შეიქმნება. თუკი ბიბლიურ განმარტებას მცირეოდენ ინტერპრეტაციას მივცემთ შეიძლება დავასკვნათ, რომ რწმენა მიღებული ინფორმაციის ანალიზით შექმნილი საფუძვლიანი მოლოდინია, რათა უხილავად იქნას შეცნობილი ქვეშატიტება. როგორც ვხედავთ აღნიშნულ განმარტებასა და მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძვლებზე განაჩენის დადგენასთან მიმართებით საკმაოდ კარგი პარალელის გავლებაა შესაძლებელი. მოსამართლე არ არის დანაშაულის თვითმხილველი, მაგრამ სწორედ „მოსმენილის“ საფუძვლებზე უნდა მოხდეს „წვდომა უხილავისა“ და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

უძველესი დროიდან მოყოლებული თემიდას სასწორი თავისი არსით წარმოადგენდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის უნივერსალურ განსახიერებას. აღნიშნული მეტაფორის მიხედვით, სასამართლო/მოსამართლე, მოქმედებს მიუკერძოებლად, კანონის შესაბამისად, იგი გულდასმით აკვირდება საქმესთან დაკავშირებით მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას, აფასებს მას განსახილველ საკითხისადმი მისი მნიშვნელობის (რელევანტურობის) მიხედვით და ბოლოს იყენებს აღნიშნულ ინფორმაციას გადაწყვეტილების მისაღებად. საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, რომ გადაწყვე-

16 Henry A. Diamond, Reasonable Doubt: To Define, or Not to Define, Columbia Law Review Vol. 90, No. 6 (Oct., 1990), pp. 1716-1736 <https://www.jstor.org/stable/1122751?read-now=1&seq=2>

17 COMMONWEALTH vs. JOHN W. WEBSTER 5 Cush. 295, 59 Mass. 295, Supreme Judicial Court of Massachusetts, March 1850. <http://masscases.com/cases/sjc/59/59mass295.html>

18 Henry A. Diamond, Reasonable Doubt: To Define, or Not to Define, Columbia Law Review Vol. 90, No. 6 (Oct., 1990), pp. 1726 <https://www.jstor.org/stable/1122751?read-now=1&seq=11>

19 ბიბლია, პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ თავი მეფერთმეტე (11:1) http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/ebraelta/ebraelta-11.htm

ტილების მიღებისას მოსამართლე სწორედ ასეთი კოგნიტურად დაბალანსებულ ქმედებების განხორციელებას, ვინაიდან მოსამართლე სწორედ, რომ შეირჩევა მისი „სალი აზროვნების“ უნარის გათვალისწინებით. როგორც წესი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება არა იმიტომ, რომ ის არაადეკვატური ან მიკერძოებულია, არამედ იმ საბაბით, რომ კანონის გამოყენება მოხდა არასწორად, დაშვებულ იქნა პროცესუალური გადაცდომა ან შეცდომა სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასებისას. თავად მოსამართლეები კი, თავის მხრივ, აბსოლუტურად დარწმუნებულები არიან თავიანთი გადაწყვეტილებების სისწორეში.

ჩვენ მიერ ნახსენები კოგნიტური პროცესები წარმოადგენს უმაღლეს ფსიქიკურ პროცესებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ობიექტური სინამდვილის ფსიქიკაში ასახვა, კერძოდ, ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, ცოდნად გარდაქმნა და გამოყენება. ეს პროცესებია: შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, ენა და მეტყველება, აზროვნება და პრობლემის გადაწყვეტა. ხშირად მათ შემეცნებით პროცესებსაც უწოდებენ (რიჩარდ გერიგი, ფილიპ ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი, 2009, თსუ).

ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლე ხშირად სცილდება კოგნიტურ ბალანსს, რომელიც ასე კარგადაა განსახიერებული მართლმსაჯულების სასწორით. შერჩევითი აღქმა, ყურადღება, მოწოდებული ინფორმაციის თანმიმდევრობა, შეზღუდული გამოთვლითი და მეხსიერების შესაძლებლობები, ყოველივე აღნიშნული მოქმედებს ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ასეთ ვითარებაში ადამიანები მიმართავენ კოგნიტური აღქმისგან განსხვავებულ გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიებს. გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობა და სტრუქტურა, მისი სიჭარბე, ფორმატი, წარდგენის თანმიმდევრობა და გადაწყვე-

ტილების მისაღებად გამოყოფილი დროის სიმცირე, აგრეთვე ახდენენ ზემოქმედებას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ხამონდის კოგნიტური კონტუმის თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობა ადამიანს აიძულებს უარი თქვას ანალიტიკურ აზროვნებაზე და გადავიდეს საკითხის გადაჭრის კვაზი-რაციონალურ ან ინტუიციურ მეთოდზე. აღნიშნული თეორია ემყარება ემპირიულ კვლევებს.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩატარდა არაერთი სამეცნიერო კვლევა სხვადასხვა დისციპლინაში, მათ შორის ფსიქოლოგიაში, იურისპრუდენციაში და კრიმინოლოგიაში, რომელთა შედეგების შეჯამებისას მივდივართ დასკვნამდე, რომ ხშირ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის პროცესი დაშორებულია რაციონალურობას, რომელიც წარმოდგენილია მართლმსაჯულების სასწორის სახით. მაგალითისთვის, კვლევებმა აჩვენეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაზე და მოსამართლის შინაგანი რწმენის ფორმირების პროცესზე გავლენას ახდენს მრავალი არასამართლებრივი ფაქტორი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მოსარჩელის, მოპასუხის ან ბრალდებულის პირად მახასიათებლებთან, როგორცაა, სქესი, რასა და ასაკი. აგრეთვე მიჩნეულია, რომ თავად მოსამართლის სქესი, რასა და ასაკი მოქმედებს მის გადაწყვეტილებაზე. კვლევებმა აგრეთვე აჩვენეს, რომ შინაგანი რწმენის ფორმირებაზე გავლენას ახდენენ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია, წინასწარ შექმნილი შეხედულებები და რწმენა. გავლენის მოხდენა შეუძლია არაკოგნიტურ ფაქტორებსაც, როგორცაა შიმშილის გრძნობა. ბოლოს, კვლევებმა აჩვენეს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები რიგ შემთხვევაში მიმართავენ მარტივ ე.წ. „პრაქტიკულ მეთოდებს“, შემოკლებულ გზას რთული ამოცანის გადასაჭრელად, რა დროსაც ხდება არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის იგნორირება.²⁰

20 Dhami, M. K., Belton, I. K., On getting inside the judge's mind, Translational Issues in Psychological

დასკვნა

როგორც ვხედავთ შინაგან რწმენასა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტთან მიმართებით, ჩამოყალიბებული ერთიანი შეხედულება და მკაფიო განმარტება არ არსებობს, თუმცა განხილული განმარტებების ანალიზითა და სინთეზით შეიძლება დავასკვნათ, რომ შინაგანი რწმენა, გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე, ინდივიდის ცნობიერებაზე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ობიექტური ქვეშარიტების ინდივიდუალური აღქმაა. რატემა უნდა შინაგანი რწმენის რაიმე ჩარჩოში მოქცევა, მისი აწონვა/გაზომვა და წინასწარ პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ კანონმდებელმა უზრუნველყო იმ აუცილებელი კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს მტკიცებულება, რათა მან მიიღოს მონაწილეობა შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების პროცესში, რითიც ერთგვარად, თუმცა არასრულად დააზღვია მართლმსაჯულება სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღებისაგან.

Science Journal, 3(2), (2017), p. 214-226
(https://www.researchgate.net/publication/317630797_On_getting_inside_the_judge's_mind)

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
2. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
3. ბიბლია, პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ თავი მეთერთმეტე.
4. თუმანიშვილი გ. თბილისი 2014 წ. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა);
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პირველი კოლეგიის №1/1/548 გადაწყვეტილება. ქ.ბათუმი 22.01.2015 წ;
6. ჭანტურიძე რ. თბილისი 2019 წ. ჟურნალი „ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე.“ N1-3;
7. Вышинский А.Я. Москва 1950 г. „Теория судебных доказательств в советском праве“;
8. Строгович М. С. Москва 1968 г. „Курс советского уголовного процесса“;
9. Горский Г. Ф., Кокорев Л.Д, Элькинд П.С. Воронеж 1978 г. „Проблемы доказательств в советском уголовном процессе“;
10. Снегирев Е. А. Воронеж 2002 г. диссертация „Оценка доказательств по внутреннему убеждению“;
11. Dimitrievski Z. Dragicevic-Dicic R. Gallo G. Skopje 2016. DOUBT IN FAVOUR OF THE DEFENDANT, GUILTY BEYOND REASONABLE DOUBT (Comparative study);
12. Engel Ch. Bonn 2008. „Preponderance of the Evidence versus Intime Conviction“ Preprints of the Max Planck Institute for Research on Collective Goods;
13. Henry A. Diamond, Reasonable Doubt: To Define, or Not to Define, Columbia Law Review Vol. 90, No. 6 (Oct., 1990);
14. COMMONWEALTH vs. JOHN W. WEBSTER 5 Cush. 295, 59 Mass. 295, Supreme Judicial Court of Massachusetts, March 1850;
15. Dhami, M. K., Belton, I. K., On getting inside the judge's mind, Translational Issues in Psychological Science Journal, 3(2), (2017).

INNER CONVICTION AND KEY FACTORS IN ITS FORMATION

Irakli Nadareishvili

*The Head of the Department to Investigate Offences Committed in the Course of Legal Proceedings of the Office of the General Prosecutor of Georgia,
PhD student at the Caucasus International University
Affiliate Assistant at the Higher Education Institute Millennium*

Jemal Lomsadze

*Prosecutor of the Department to Investigate Offenses Committed in the Course of Legal Proceedings of the Office of The General Prosecutor of Georgia,
Master of Laws*

KEYWORDS: Inner conviction, Reasonable doubt, Judgment

RESUME

The issue of clarification/wording of the standard of inner conviction and reasonable doubt of a judges/jurors when passing a verdict has not lost its relevance until today. There is no consensus among scholars about the issue. Considering the fact that it is impossible to fit inner conviction into any framework, to assess and predict it in practice, the debate on the influence and significance of subjective factors in the formation of inner conviction is still in progress. The present Article analyzes the views and opinions of scholars on both continental and Anglo-American law, as well as court explanations on this issue. Additionally, a new interpretation of inner conviction was developed and presented through the application of the methods of analysis and synthesis, namely: inner conviction is an individual perception of objective truth formed by the influence of subjective and objective

factors on the consciousness of the person, based on the assessed evidence. We believe that the above explanation is innovation and generalization of different opinions, and we hope that it will give rise to interesting echoes among theorists and practitioners.

BIBLIOGRAPHY:

1. Criminal Procedure Code of Georgia.
2. Criminal Procedure Code of France.
3. The Bible, Epistle of the Apostle Paul to the Hebrews, chapter eleven.
4. Tumanishvili G., Tbilisi, 2014, Criminal Proceedings (Review of General Section).
5. Constitutional Court of Georgia, Decision N1/1/548 of the First Panel. Batumi, 2015
6. Chanturidze R., Tbilisi, 2019, Journal "Decisions of the Supreme Court of Georgia on Criminal Cases", N1-3.
7. Vyshinsky A.Ya., Moscow 1950, Theory of Judicial Evidence in Soviet Law.
8. Strogovich M.S. Moscow 1968, The course of the Soviet criminal trial.
9. Gorsky G.F., Kokorev L.D., Elkind P.S., Voronezh 1978, Problems of evidence in the Soviet criminal trial.
10. Snegirev E.A., Voronezh 2002, dissertation "Assessment of evidence on internal conviction".
11. Dimitrievski Z. Dragicevic-Dicic R. Gallo G. Skopje DOUBT IN FAVOUR OF THE DEFENDANT, GUILTY BEYOND REASONABLE DOUBT (Comparative study).
12. Engel Ch. Bonn 2008, „Preponderance of the Evidence versus Intime Conviction“ Preprints of the Max Planck Institute for Research on Collective Goods.
13. Henry A. Diamond, Reasonable Doubt: To Define, or Not to Define, Columbia Law Review Vol. 90, No. 6 (Oct., 1990);
14. COMMONWEALTH vs. JOHN W. WEBSTER 5 Cush. 295, 59 Mass. 295, Supreme Judicial Court of Massachusetts, March 1850;
15. Dhami, M. K., Belton, I. K., On getting inside the judge's mind, Translational Issues in Psychological Science Journal, 3(2), (2017).